

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ვებ-გვერდის (www.cadet.mod.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 17 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. #4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

www.cadet.mod.gov.ge


გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით



■ www.cadet.mod.gov.ge
გამჭვირვალობის
ხარისხი

■ ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
 ■ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი



საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ლიცეუმის დირექტორის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან დირექტორს. ლიცეუმის დირექტორის სამუშაო ელ.ფოსტა და ფაქსის ნომერიც არ არის სახეზე.
2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ლიცეუმის დირექტორის მოადგილეთა არცერთი საკონტაქტო რეკვიზიტი: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აუცილებელია, რომ ვებ-გვერდზე არსებობდეს ლიცეუმის დირექტორის ყველა მოადგილის კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) სრულყოფილი აღწერა.
3. ლიცეუმის სრული სახელწოდებაა „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – კადეტთა სამხედრო ლიცეუმი“, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით შემოთხსენებული დასახელება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი, ლიცეუმის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და ფაქსის ნომერი.
4. არ მოიძიება ლიცეუმის სტრუქტურის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული დანაყოფის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები).
5. არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიზნების, ფუნქციების და საქმიანობის საგნის სრულყოფილი აღწერა:

კონტაქტი

მისამართი:

ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. #51

კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი

ალექსი კეკელია
ტელ: 8431 29 81 18

სამასწავლებლო

8431 29 80 01

ლიცეუმის სამორიგეო

ტელ: 8431 29 61 15
995 77 1994 56

e-mail: cadet@mod.gov.ge
cml@mod.gov.ge

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სტრუქტურული დანაყოფების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები (კადეტთა თვითმმართველობის გარდა), ფოტოსურათები, მათი კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის სტრუქტურული დანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

სიახლეები ადმინისტრაცია კალტური სასწავლო პროცესი მოთხოვნები/პირობები ლიცეუმის ისტორია

თვითმმართველობა თვითმმართველობა

ნარჩინებულები

კადეტთა თვითმმართველობა

კადეტთა თვითმმართველობის თავმჯდომარე კადეტი ირაკლი ციციშვილი
თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე კადეტი გურამ ბიბლიაშვილი
კადეტთა თვითმმართველობის მდივანი კადეტი ავთანდილ ბეჟანიძე

კადეტთა სამხედრო ლიცეუმში შექმნილია კადეტთა თვითმმართველობის შემდეგი კომიტეტები:

- ლიცეუმის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის კომიტეტი**
ხელმძღვანელები: ირაკლი კამლაძე, ვალერი ბენდელიანი
- საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტი**
ხელმძღვანელები: გიორგი ცაციაშვილი, შოთა ჩხაბერიძე
- სპორტული კომიტეტი**
ხელმძღვანელები: გიორგი იკოევი, პაატა ჩხიტუნიაძე
- ესთეტიკური აღზრდის კომიტეტი**
ხელმძღვანელები: შოთა ესებუა, უჩა მოდებაძე, გიორგი გასვიანი.

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

8. შეიძლება ითქვას, რომ კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო მონაცემთა ბაზები. არ მოიძიება ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები, როგორებიცაა: სტატისტიკა, პროგრამები, პროექტები, ტენდერები, ფინანსური მაჩვენებლები, საქმიანობის ანგარიშები, ხელშეკრულებები და ა.შ. ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად - „ბიბლიოთეკა“ ცარიელია:

9. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი:

გიგლოთეკა

მალე

➤ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

10. არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ, დირექტორისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

11. არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი პროგნოზები, აგრეთვე მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ლიცეუმის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. აგრეთვე არ მოიძიება ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს კადეტთა სამხედრო ლიცეუმი.

12. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

13. მართალია კადეტთა სამხედრო ლიცეუმს არსებობის ერთი წელი უსრულდება, თუმცა სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს ლიცეუმის საქმიანობის შესახებ მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები, ხოლო ყოველი წლის მიწურულს - ერთიანი წლიური ანგარიში.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ლიცეუმის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. შეიძლება ითქვას რომ ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა - მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „იურიდიული დოკუმენტები“, თუმცა მასში განთავსებულია მხოლოდ სამი სამართლებრივი აქტი. აუცილებელია მოიძიებოდეს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების ტექსტები, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული საქართველოს კონსტიტუცია:

იურიდიული დოკუმენტები

კადეტების ქვევის კოდექსი ↓

დებულება ↓

შინაგანაწესი ↓

➤ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან. არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ლიცეუმში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტენდერები“, სადაც იქნებოდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე კადეტთა სამხედრო ლიცეუმსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ლიცეუმის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**


21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი კადეტთა სამხედრო ლიცეუმის საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ლიცეუმისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ლიცეუმის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/ ლიცეუმის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ლიცეუმის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ლიცეუმისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- არ მოიძიება ლიცეუმის სრული სისტემის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და თითოეულის საბაზრო ღირებულება.


ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე ძალზედ მწირად არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რაც მოითხოვს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მხრიდან ინფორმაციული შიგთავსის საგრძნობლად შევსებას.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ ძიება

ვებ-გვერდზე არ არის დეტალური ძიება, ხოლო მარტივ ძიებაში არ არის ინტეგრირებული ქართული შრიფტი, ამიტომ მომხმარებელს უწევს სისტემაში შრიფტის შეცვლა ქართულად დასაწერად. ეს დიდ დისკომფორტს იწვევს მომხმარებელში. მარტივ ძიებას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ქართული შრიფტის მხარდაჭერა.



თარიღის მიხედვით ძიება არ ფუნქციონირებს, ნებისმიერ დღეზე დაჭერით გადავდივართ ივნისის სიახლეებზე:

ეუმი აცხადებს მიღებას ლიცენზიაში
ინათლებლო სასწავლო დაწესებულებების 17 წლამდე ასაკის
მღებიც 2010-2011 სასწავლო წელს წარმატებით დაამთავრებენ

ას ზონაში

ეუმის მსმენელები "თავისუფალ თეატრს" ესტუმრნენ.
ად მათთვის "ბოსტანი კონფლიქტის ზონაში" ითამაშეს.
ად არის ნაჩვენები კონფლიქტის ...

ამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში
ეუმის მსმენელები პირველად მონაწილეობდნენ. მედროშეთა
ენასთან კადეტებმა ჩაიარეს. მათი ნაწილი ...



კალენდარი

<< ივნისი 2011 >>

ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

გაუგებარია მარჯვენა მხარეს ცარიელი შინდისფერი მართკუთხედის ფუნქციონალური ან შინაარსობრივი დატვირთვა:

ვიდეო



04 ივნისი 2011



26 მაისი 2011



29 აპრილი 2011



24 მარტი 2011



02 მარტი 2011



01 თებერვალი 2011



25 თებერვალი 2011



13 სექტემბერი 2010

1 2 >



კალენდარი

კალენდარი						
<< ივნისი 2011 >>						
ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ	შაბ	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			


➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ელ ფოსტების ფორმა არ არის დაცული, ფორმატი უნდა იყოს შემდეგნაირი:

1. a.tsereteli@domain.ge
2. atsereteli@domain.ge
3. akaki.tsereteli@domain.ge
4. akakitsereteli@domain.ge

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

საიტზე არსებობს გვერდები, რომლებიც ცარიელია. ასეთ გვერდებზე უნდა აღინიშნოს, რომ ისინი მზადების პროცესში არიან:



ღია კარის ღღეუბი



➤ **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

სასურველია სოციალურ ქსელებთან ინტეგრაცია, ისეთი მეთოდებით როგორც არის: Share, like და WEB 2.0 სხვა საშუალებები.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ზოგადად ვებ-გვერდი მარტივად არის აგებული, თუმცა დაშვებულია შეცდომები, რომლებიც ვიზუალურად არ ჩანს მაგრამ ზეგავლენას ახდენს საძიებო სისტემებში ვებ-გვერდის ინდექსაციაზე. ვებ-გვერდი საჭიროებს ტექნიკურ დახვეწას, სოციალურ ქსელებთან ინტეგრაციას და ისეთი ფუნქციების დამატებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვებ-გვერდზე დაინტერესებული საზოგადოების ელექტრონულ ჩართულობას.